# სახალხო გაზეთი

№ 334 ხუთშაბათი, 23 ივნისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 334

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 191.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## დ. ყვირილაში

„ხორაპნის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

## „სახალხო გაზეთი"-ს

ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებული იქნება.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 8. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

## ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილისა

ამით აცნობებს ნათესავთა და მეგობართ, საყვარელ ქმრის

## დავით ზაქარიას-ძის სარაჯიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ-დღე, საღამოს 7 საათზე. სერგიევის ქუჩა, საკუთარი სახლი. დაკრძალვა კვირას, 26 თიბათვეს. (6—1356—3)

კნეინა ეკატერინე ზაქარიას ასული და თავადი ნიკოლოზ ბიძინას ძე ერისთავნი, თავადი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ერისთავი მეუღლითურთ, თავ. გიორგი ნიკოლოზის ძე ერისთავი, თამარა ნიკოლოზის ასული ბრაილოვსკისა და ელისაბედ ნიკოლოზის ასული დომერშჩიკოვისა ქმრით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი

პანაშვიდი ყოველ-დღე საღამოს 7 საათზე. (2—10—2)

## მთავარ კანტორის მოსამსახურენი

მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, მწირფას და დაუვიწყარ

## დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის

გარდაცვალებას. (6—1356—3)

ამხანაგობა „რექტიფიკატის" გამგეობა აუწყებს საზოგადოებას, რომ ხუთშაბათს, 23 ივნისს, შუადღის 12 საათზე გარდახდილი იქნება პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულ, დაუვიწყარ და ძვირფას დამფუძნებელის

## დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის

სულის მოსახსენებლად, საკუთარ სახლში, სერგიევის ქუჩა, № 13. პანაშვიდის დღეს კანტორა და ქარხანა დაკეტილი იქნება. (2—681—2)

დ. ზ. სარაჯიშვილის ქარხნის მუშები გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მწირფას და საყვარელ

## დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის

გარდაცვალებას. (6—1356—2)

კანტორის პატრონის

## დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის

## გარდაცვალების გამო მთავარი კანტორა დაიკეტება 27 თიბათვემდე.

(6—1356—3)

ალექსანდრე პეტრეს ძე, ალექსანდრე თეოდორეს ძე სარაჯიშვილნი და ადამ ივანეს ძე ფირაქაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასის

## დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილისას

პანაშვიდები მუდამ დღე საღამოს 7 საათზე. სერგიევის ქუჩა, 13, დასაფლავება კვირას 26 ივნისს. (4—676—2)

დ. ზ. სარაჯიშვილის ქარხნის მუშები (ქარხ. № 2 ჩერქეზიშვილის ქუჩა № 93) გულითადის მწუხარებით აუწყებენ ყოველ თანამგრძნობლებს, ნაცნობებს და ამხანაგებს 20 თიბათვეს პირველ საათსა და 30 წუთზე ძვირფას და დაუვიწყარ ადამიანის და პატრონის

## დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი დანიშნულია ხუთშაბათს დღისით 12 ს. სერგიევის ქუჩა. № 13, განსვენებულის ბინაზე (3—679—2)

პარასკევს, 24 თიბათვეს, ყვირილის წმ. ნინოს ეკლესიაში გარდახდილი იქნება განსვენებულ

## დეკანოზ დავით ღამბაშიძის

გარდაცვალების ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და პატივისმცემელთ განსვენებულის ქვრივი, შვილები და რძლები. (2—682—1)

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების თელავის განყოფილების გამგეობა

აუწყებს თავის წევრთ, რომ კვირას, 26 თიბათვეს, დილის $10^1/_2$ საათზე, ბიბლიოთეკაში დანიშნულია განყოფილების წევრთა

## საზოგადო კრება

სხვა და სხვა საკითხების განსახილველად. (2—1357—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სიფილისიანთ განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღეც და ღამეც.

ამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., თრშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

დავითიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და აბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით ა ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ ს.

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1 ნახ. ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. დროებით წასულია.

ხობოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხუდაგოვი ა. ი. სიფილისიანთ და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი

## წამლობა „606"-ით

(Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ. საფასურით. (წ.—1089—494)

### კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი

ორშაბათს, 27 ივნისს,

ქართულ დრამატიულ სცენის მოყვარეთა მიერ ალ. შანშიევის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება შექსპირის ცნობილი ტრაგედია

## ჰამლეტი

5 მოქ. 9 სურ. თარგ. მაჩაბლისა.

მონაწ. იღებენ ქ-ნნი: აფხაზიშვილი, რჩეულოვისა, ნიჟეგოროდოვისა. ბ-ნნი: ბადაშვილი, სალაყაია, შანშიევი, გოგაშვილი, სულთანოვი, ერთაწმინდელი და სხვანი.

ანტრაქტებში დაუკრავს მანდოლინისტთა და გიტარისტთა გუნდი

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველ დღე დილით 10—2 საათამდე, საღამოს 6—9 საათ. ადგილების ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია, რაც გინდა ცუდი ამინდი იყოს, წარმოდგენა არ გადაიდება.

გამგე პ. ფრანგიშვილი. რეჟისორი ა. შანშიევი. ადმინისტ.-რი ნ. ხუმბაშვილი.

(1—683—1)

## ვკისრულობთ

თარგმნას რუსულიდან ქართულად, როგორც პიესებისას ისე სხვა სალიტერატურო ნაწარმოებისას, ქართულ ხელნაწერების შესწორებას და კორექტურას, ხელმისაწვდომ ფასებში.

ბაბილინა და ნარკანი.

(10—1345—6) იკითხეთ „სახალხო გაზეთის" რედაქციაში.

## სანატორიუმი

და

საზაფხულო სამყოფი

## ექ. ვახტანგ ღამბაშიძისა.

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის 8—15 წლამდე.

მსურველთ ეგზავნებათ დაწვრილებითი ცნობები.

(10—660—6) მისამართი: ბორჯომით, პატარა ცემი ექიმს ვ. ღამბაშიძეს.

## დ. ახალ-სენაკის პეტრე-პავლობა და ქალების ჭიდაობა

ცნობილი ფალავანი ნესტორ ესებუას თაოსნობით დ. ახალ-სენაკში 28 ივნისიდან დაიწყება მთელ ქვეყნიერობაზედ სხვადასხვა სახელმწიფოდან გამოსულნი და დაჯილდოვებულნი აუარებელ ოქროს და ვერცხლის თვალმარგალიტით შემკულ ი სამატიო ლენტებით.

სახელგანთქმულ 12 ქალის საინტერესო ჭიდაობა, აგრეთვე იქნება სახელოვან ვაჟკაცების ფალავნების ჭიდაობაც. დაუკრავს სამხედრო მუსიკა.

ქალები ფალავნები ესებუას მხოლოდ გამოწვეული ჰყავს ექვი დღით, 28 ივნისიდან 4 ივლისამდის. (1—684—1) ნ. ესებუა.

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—75)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ასპიზოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 სათ.

ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველდღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

სუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვ-ზაროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ოსხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—61)

### ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაჩეჩილაძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ს. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^1/_2$—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. ვ. სობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

## წამლობა „606"-ით.

(წ.—1090—91)

## საყურადღებოდ

ქალაქის სააუქციონო ზალა

იღებს გასასყიდად და შესანახად ყოველს მოძრავს ქონებას. ველიამინის ქუჩა, ს. № 7. (3—671—3)

ქ უ თ ა ი ს შ ი

## ექიმი მ. ი. ჩხენკელი

შინაგან, საბავშვო და საზეპირო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, სად. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგი იოსელიანის სახლი. (თ.—1321—17)

# დოქტორი მედიცინისა
# ი. გ. ჩუდნოვსკი
# გადავიდა

კიროჩნის ქუჩა სახ. № 18.

ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების პირდაპირ.

მიიღება შინაგან და ნერვებიანი ავადმყოფნი—ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—8 ს. (10—1336—5)

**ექიმი** გ. მუსხელიშვილი
სამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარედ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.

# სურამში
კბილის ექიმი
# ნინო რცხილაძე
მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავად. მყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 ჩაჩლი ჭარაშვილისა

აბასთუმანში
კბილის ექიმი
# ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს. „დაჩა“ ტერმარქაროვისა. (თ.—1333—9)

**ექიმი** კბილისა ისიდორე ჭანტურია
გადავიდა ახალ ბინაზე Служба Сборов-ის გვერდზე, ავჭალის სახალხო აუდიტორიას ახლოს, ჩერქეზოვის ქუჩა (ავჭალის) № 68. (თ.—1329—14)

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა ხნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის კაზენის ქ. რულმდონი N 816.

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
# მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გამინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—45)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 9—82


# ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

როგორც მკითხველებს ეხსომებათ, დიდუბის ეკლესიაში ქართულ წირვა-ლოცვისა და გალობის გამოდევნაზე რამდენიმე წერილი გვქონდა მოთავსებული. ამავე საკითხსა სხვა ადგილობრივი გაზეთებიც შეეხნენ. ამავე საგანზე დიდუბელებმა საქართველოს ეგზარხოსსაც მიჰმართეს თხოვნით, რომ დიდუბეში ქართული წირვა-ლოცვა აღედგინათ.

ეხლა ქართლ-კახეთის სინოდალურ კანტორას დაუდგენია, რომ დიდუბის ეკლესიაში რუსულ-ქართული მრევლი იყოს და წირვა-ლოცვაც ნარევი—რუსულ-ქართული.

ამის გამო „გოლოს კავკაზა“-ს თანამშრომელი სწერს:

„ამ დადგენილებით ერთი ნაბიჯი გადაიდგა დიდუბის ეკლესიის საკითხში, რომელიც ადგილობრივ ავტოკეფალისტურად მოაზრე ნაციონალისტების ფიქრით, მხოლოდ ქართველ მლოცველთა სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი უნდა იყოს. ამ საკითხის ასე გადაწყვეტა კი დიდუბის მკვიდრთა ნამდვილს მოთხოვნილებას არ შეეფერებოდა, რადგანაც აქ მრევლთაგანი 432 რუსია, 494 ქართველი“.

წერილის ავტორი ამბობს, რომ ქართველებმა ყარანგოზოვის ხელით დამატებითი თხოვნა მისცეს, რომელზედაც 208 ეწერა ხელით. რუსის მრევლსაც რომ ასეთი დამატებითი თხოვნა მიეცა, მათი რიცხვიც ერთიორად იმატებდაო.

მეორე ავტორი დიდუბის ტაძრის დეკანოზს თალაკვაძეს ეხება:

„დიდუბის ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი თალაკვაძე შეეცადა სასულიერო მთავრობა დაერწმუნებინა, რომ დიდუბელი რუსები იშვიათად მიჰმართავენ ხოლმე დიდუბის კრებულს და უმჯობესად მიაჩნიათ სხვა ეკლესიებში სიარულიო... დეკანოზ თალაკვაძის განცხადება სინამდვილეს არ ეთანხმება, რადგანაც ყველამ კარგად იცის, რომ დიდუბის ეკლესია თითქმის მხოლოდ რუს მლოცველებით სულდგმულობს“...

ავტორი კმაყოფილებით ეგებება ეგზარხოსის გადაწყვეტილებას და დასძენს:

„ასეა თუ ისე, პირველი ნაბიჯი დიდუბის მრევლის საკითხისა გადადგმულია. ამას თავისთავად მეორე ნაბიჯიც უნდა მოჰყვეს—**ეს ნაბიჯი დიდუბის ეკლესიის კრებულში რუსის მღვდლის დანიშვნა იქნება**“.

„გოლოს კავკაზა“ სრულიად დაკმაყოფილებულია, მისი აზრით სამართლიანობა აღდგენილია მით, რომ დიდუბის ეკლესიაში შერეული წირვა-ლოცვა იქმნება შემოღებული; ნამდვილად კი ასეთი წესი მხოლოდ გარეგნულად ახდენს შთაბეჭდილებას სამართლიანობისას. სამართლიანობა შერეული წირვა-ლოცვის შემოღება კი არ იქნებოდა, არამედ სრული აღდგენა ქართულ წირვა-ლოცვისა, რადგანაც არავითარი რეალური საჭიროება არ მოითხოვს შერეულ წირვა-ლოცვის შემოღებას დიდუბის ეკლესიაში.

* *
*

რა ტიპის სასწავლებელი ესაჭიროება ამიერ-კავკასიას?—ამ საკითხს არკვევს „ნოვოე ვრემია“ და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამიერ-კავკასიაში, ამ სამეურნეო ქვეყანაში, სადაც მამულების მორწყვას უმთავრესი მნიშვნელობა აქვს, საჭიროა დაარსდეს გიდრო-ტეხნიკური სასწავლებლები, რომელნიც გამოზრდის გიდრო-ტეხნიკოსებსო. ამიერ-კავკასიის ზოგიერთ ადგილებში,—განაგრძობს გაზეთი,—სასოფლო მეურნეობაზე ოცნებაც კი შეუძლებელია, თუ ადგილი ხელოვნურად არ იქმნა მორწყული. მართალია, უხსოვარ დროიდან არის შემოღებული ამიერ-კავკასიაში მამულების მორწყვა, მაგრამ ეს საქმე სწარმოებს ძველს წესზე და ამიტომ მოსარწყავად წყალი ბევრი იხარჯება და ბევრი ადგილიც მოურწყავი რჩება. შემდეგ განაგრძობს:

წესიერ მორწყვას და მოსარწყავ წყლის ეკონომიურად მოხმარებას დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო მეურნეობის განვითარებისა და აყვავების საქმეში. თურქესტანში ეს უკვე ჭეშმარიტებად იქმნა აღიარებული. ტაშკენტში დაარსებულია გიდრო-ტეხნიკური სკოლა, სადაც ახალგაზრდანი სწავლობენ მორწყვას და სარწყავ მოწყობილებათა აგებასა და შეკეთებას. ამიერ-კავკასიაში ასე არ არის და ამიტომ სამეურნეო გიდრო-ტეხნიკურ სკოლების უქონლობა დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ამიერ კავკასიისთვის ეს სასწავლებლები ყველა სხვა სასწავლებელზე უფრო საჭიროა. სასოფლო-სამეურნეო პირობანი ამიერ-კავკასიისა სხვა და სხვაა, მაგრამ უმთავრეს ტიპს წარმოადგენს ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის მეურნეობა. აქ ამას გარდა დაწყებულია დიდი საკოლონიზაციო მუშაობა, რომელიც იწვევს, ერთის მხრით, ფართო საირრიგაციო შტოების გაყვანას, მეორეს მხრით, მორწყვის ცოდნის საჭიროებას, განსაკუთრებით იმ ახლად დასახლებულთათვის, რომელთაც მორწყვის წესებს სრულიად არ იცნობენ.

ამიტომ პირველად სასოფლო-სამეურნეო გიდრო-ტეხნიკური სასწავლებელი დაარსებულ უნდა იქმნას ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საახალშენო რაიონში, სახელდობრ მუღანში. მიზანი ამ სკოლისა იქნება: ერთის მხრით, გამოზრდა პრაქტიკანტ გიდრო-ტეხნიკოსებისა, რომელნიც მორწყვის დროს ინსტრუქტორობას გასწევენ და საირრიგაციო შტოებს მეთვალყურეობას გაუწევენ, მეორეს მხრით—შემუშავება მორწყვის რაციონალურ საშუალებისა.

კიდევ ერთი მაგალითი იმისი, თუ როგორ ფიქრობენ ადგილობრივ მცხოვრებთა საჭიროებებზე. დაარსება სკოლის ისეთის ტიპისა, რანაირსაც „ნოვოე ვრემია“ მოითხოვს, ძალიან კარგია, მაგრამ რა ექნება საერთო ამ სკოლას ადგილობრივ მცხოვრებლებთან. მუღანი სრულიად ახალი, ჯერედ მოუწყობელი ახალ-შენია რუსებისა და იქ დაარსებულ სკოლას მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებთათვის თუ ექნება მნიშვნელობა, თორემ კავკასიისთვის—არაფერი. ხოლო პრაქტიკულად რამდენად სასარგებლოა სკოლის დაარსება ისეთს ახალშენში, როგორიც მუღანოა, ჯერ კიდევ საკითხავია.

# ნავთი გურიაში
(დეპეშა საკუთარ კორესპონდ.)

**სოფ. სამხთოში** (გურია, მიქელგაბრიელის საზოგადოება), სადგურ ნატანების მახლობლად, ნავთიან ადგილების მოიჯარადრე როლსკის მიწაზე ბურღვის დროს მაზუთის შადრევანს ამოუხეთქია. მიწა 9 საჟენის სიღრმეზე ჩაუხვრეტიათ. შადრევანი მაშინვე დაუხურავთ და დარაჯები დაუყენებიათ. როლსკი მაშინვე ახლო-მახლო მიწების იჯარით აღებას შესდგომია. მოიჯარადრენი აურაცხელი მისულა და წვრილ-ფეხა მაკლერების შემწეობით აქაურ ხალხს მიწას ხელიდან აცლიან.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **კავკასიის უნივერსიტეტის წინააღმდეგნი** მინისტრთა საბჭოში არიან შჩეგლოვიტოვი, კასსო და სუხომლინოვი, მომხრენი კი სტოლიპინი და კოკოვცოვი.

✦ **ქართული ახალი კლუბი** არა ოფიციალურად 21 ივნისს გაიხსნა. აურაცხელი ხალხი დაესწრო. კლუბი მშვენივრად იყო განათებული და საუცხოვოდ იყო მორთული. გამგეობას აზრად აქვს კლუბის წესდების ზოგიერთი მუხლები შესცვალოს, შემოიღოს სეზონის ბილეთები, სამ მანეთად ღირებული, ხოლო წევრთა მეუღლეებს ბილეთებისათვის თითო მანეთს გადაახდევინებენ.

✦ **ქალაქის გამგეობამ** დაადგინა: განსვენებულ სომხის მწერლისა და პედაგოგის ალაიანის დასაფლავებას დაესწროს და შეამკოს გვირგვინით შესაფერი წარწერით.

✦ **ქართლ-კახეთის სინოდალურმა კანტორამ** დიდუბელ ქართველ მრევლის თხოვნა ასე დააკმაყოფილა: დიდუბის ეკლესიაში წირვალოცვა შესრულდება ხან ქართულად, ხან რუსულად. დიდუბელი რუსები, როგორც ხმა დადის, რუსი მღვდლის დანიშვნას თხოულობენ.

✦ **კავკასიის მუზეუმის და ქალაქის ბიბლიოთეკის ახალი შენობის აგებად**, რომლის შესახებაც, მინისტრთა საბჭოს დადგენილება 1910 წლის 18 ივნისს უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა, უმაღლესი ბრძანების მიხედვით კავკასიის ნამესტნიკმა საამშენებლო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნა ტაინი-სოვეტნიკი გაკკელი; კომისიის წევრებად კი სტატსკი-სოვეტნიკი ჟუნკოვსკი, სტატსკი-სოვეტნიკი რუდოლფი, ინჟენერი ბუინოვი, კავკასიის მუზეუმის დირექტორი პოლკოვნიკი კაზნაკოვი, სტატსკი-სოვეტნიკი დომერშჩიკოვი, კავკასიის მუზეუმის დირექტორის თანაშემწე შმიდტი და სხვანი. კომისიას ნება ეძლევა საჭიროების მიხედვით კრებებზე დასასწრებად საქმისათვის სასარგებლო გამოცდილი გარეშე პირნიც მოიწვიოს.

✦ **ბავშვის გვამი**. 20 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ტფ. გრენადერთა მე-15 პოლკის მახლობლად, ხევში იპოვეს ბავშვის გვამი, ძალზე გახრწნილი. გვამი მიხეილის საავადმყოფოს ანატომიურ თეატრში გაგზავნეს.

## წვრილი ამბები

✦ 21 თიბათვეს ანნა იოსების ასულმა ფალიაშვილმა შეცდომით დალია საწამლავი. სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 21 თიბათვეს ტფილისში შეაპყრეს 33 უპასპორტო.

✦ 21 ივნისს ტფილისში შეიპყრეს გიორგი დავითის ძე ქუჩიევი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით იყო გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნდა.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ დღეს, 23 თიბათვეს, კავკ. სასოფ. სამეურ. საზ. დარბაზში (ალექსანდრეს ბაღში) საღამოს 8 საათზე დანიშნულია „ქართულ სამეურნეო საზოგადოების“ საბჭოს მორიგი კრება. კრება გადასწყვეტს კარაკლისში მეფუტკრეობის კურსებზე ორი მსმენელის გაგზავნის საკითხს.

## სასამართლო

✦ **პოლიტიკური საქმეები**. 20 ივნისს ტფ. სასამართლო პალატამ გაარჩია საქმე ქართულ გაზეთის „ახალი საქმის“ რედაქტორის ჯაჭვაძისა, რომელიც სამართალში მიცემული იყო სისხლის სამართლის მე-132 მუხლის ძალით და 6 თვის ციხე გადაუწყვიტა.

✦ ამავე დღეს პალატამ გაარჩია საქმე წიგნის მაღაზიის პატრონის ვასილ გადილიასი, რომელიც სამართალში მიცემული იყო ნებადაურთველ წიგნაკების შენახვისათვის და $3^1/_2$ წლის ციხე გადაუწყვიტა.

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია** გორს გაემგზავრა, სადაც სისხლის სამართლის საქმეთა გასარჩევად 22-დან 25 ივნისამდე დაჰყოფს.

## ქუთაისი

✦ **სათავად-აზნაურო გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ** საბოლოოდ გადასწყვიტა, თუ ბანკის მეურვეობაზე სამინისტროდან უარი მოვიდა, მომავალ სამოსწავლო წელიწადში სწავლის ფასს მოუმატოს და ნაცვლად ხუთის თუმნისა მოსამზადებელ კლასებში შემოიღოს შვიდი თუმანი, გიმნაზიურ კლასებში კი რვა თუმანი. ეს დადგენილება ამ მოკლე ხანში უნდა განიხილოს სადგილ-მამულო ბანკის კომიტეტმა.

✦ **იმერეთის ეპისკოპოსი** გიორგი ამ თვის გასულს საზაფხულოდ ბორჯომს მიემგზავრება.

✦ **წელს სათავად-აზნაურო გიმნაზიაში სწავლა დაასრულეს** და სიმწიფის მოწმობა მიიღეს 49 მოსწავლემ, აი მათი სია: მიხეილ აბულაძე, პოლიკარპე აბულაძე, გრიგოლ ამაღლობელი, კლიმენტი ასათიანი, რაითაზ ასათიანი, იესონი არსენიშვილი, ამბროსი ახვლედიანი, გიორგი ბარათაშვილი, კარპეზ ბერიძე, გიორგი ღოღაბერიძე, ნიკოლოზ გრიგოლია, ვლადიმერ გუბელაძე, ვარლამ შხოთელიანი, გრიგოლ დალაქიშვილი, მიხეილ ჯაფარიძე, ბიქტორ ძიმისტარაშვილი, ერასტი ჟორჟოლაძე, კლიმენტი იოსელიანი, ვასილ ქაჯაია, გრიგოლ ქაჯაია, ილია კვაშალი, ვლადიმერ ლანდია, დავით ლეჟავა, გალაქტიონ ლორია, ვლადიმერ მაქაროვი, აკაკი მგალობლიშვილი, პავლე (აფრასიონის-ძე) მაჭავარიანი, პავლე (კონსტანტინეს-ძე) მაჭავარიანი, ევსევი მიქელაძე, ნოე ნადარეიშვილი, ალექსი ნანეიშვილი, ვლადიმერ პაიჭაძე, ბიქტორ როინიშვილი, დავით ხუნდაძე, შალვა თოფურიძე, კონსტანტინე ცაგარეიშვილი, ალექსანდრე წერეთელი, სპირიდონ წერეთელი, ალექსანდრე ცქიტიშვილი, კლიმენტი ჩიქოვანი, აკაკი ჩიჩუა, იასონ ჭუმბურიძე, თეიმურაზ ჭუმბურიძე, ალექსანდრე ჭუმბურიძე, დავით (მელიტონის-ძე) ჩხეიძე, დავით (თომას-ძე) ჩხეიძე, დიმიტრი

# ბაქოს ნავთის მრეწველობა და რუსეთის მთავრობა

1

საქართველო მრეწველობისკენ.—ბაქოს ნავთის მრეწველობის მნიშვნელობა საქართველოს ცხოვრებისათვის.

როდესაც საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრების მე-19 საუკუნის განვითარებას ვიკვლევთ და განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ცხოვრების ეკონომიურ მხარეს—შეუძლებელი ხდება ანგარიში არ გაუწიოთ იმ ბეჯით შეურჩეველ მსვლელობას, რომელიც საქართველოს მრეწველობას ეხება. საქართველო ახალ გზას ადგია, საქართველოში ახალი ცხოვრება იწყება, ცხოვრება ნამდვილი ევროპიული, ე. ი. კაპიტალისტური. სოფლის მეურნეობა მთელ ევროპაში ამ ჟამად კაპიტალისტურ ჩარჩოში ტრიალებს, ჩვენს სოფლებსაც ამ ჩარჩოში უკვე ჩაუდგავს თავისი ბორბლები, მაგრამ ჩვენ აქ იმას ვამტკიცებთ, რომ საქართველოს ცხოვრება უფრო მრეწველობის მხარეზე იხრება, რომ საქართველოს სტატიკის და დინამიკის საფუძველი გადამუშავებული მრეწველობა იქნება და არა პირველ-ყოფილი, თუნდ ინტენსიური სოფლის მეურნეობა. საქართველოს მრეწველობის განვითარებას ხელს უწყობს გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ტოპოგრაფიული და ბუნების სხვა პირობანი. საქართველო სამრეწველო ქვეყანა იყო წინად. მას ასე იცნობდნენ ბერძნები და რომაელნი, ბიზანტიელები და სხვა ხალხნი ხმელთა შუა ზღვის სამეფოდან. ამით ჩვენ იმას არ ვამბობთ—თითქო სოციოლოგ ვიკოს მოძღვრების თანახმად—ჩვენმა ცხოვრებამ ისევ ძველ წესზე დაიწყოს სრბოლა. არა, საქართველოს ცხოვრება სრულიად ახალ წესებში ვარდება და აქედან ახალ სისტემით მიექანება წინ.

ცხადია ერთი რამ: საქართველოს ცხოვრებაში დიდი, ღრმა, შესანიშნავი ცვლილებანი მოხდა... ეს პროცესი ძველის დანგრევისა და ახალ ფორმების წარმოშობისა ჯერაც როდი დამთავრებულა... ამ შესანიშნავ მოძრაობაში, ტრანსფორმაციაში დიდი როლი უჭირავს მრეწველობის განვითარებას საქართველოში. მრეწველობა თანდათან წინ მიდის და ვითარდება, ის ახალ წესებსა ჰქმნის და ანვითარებს. ამ საერთო ცვეხ-ცხელებაში კი კოლოსალური მონაწილეობა მიიღო აფშერონის ნახევარ კუნძულმა—ბაქოს ნავთმა თავის გაზითა და შადრევანით. ბაქოს ნავთის მრეწველობა მთელ რუსეთისათვისაც დიდად მნიშვნელოვანია. ამ წუთას, რა თქმა უნდა, ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს ის მეტის-მეტად დიდი შემოსავალი, რომელსაც რუსეთის სახელმწიფო ნავთის სამეფოდან იღებს, ვივიწყებთ აგრეთვე აქციზს ნავთზე, ზედ-მეტ გადასახადებს რკინის გზის ვაგონცისტერნებზე, ნავთის საყვან მილზე, მაზუთის სხვადასხვა ნაყოფებზე (ყველა ეს ხომ ფისკის ინტერესებს შეადგენს). ამ მწარმოებელ ძალების განვითარებას, რომელსაც იწვევს ბაქო თავის მრეწველობით, მრავალ რუსეთის შიდა გუბერნიების სოფლელთა შორის, ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ბაქოს ნავთის მრეწველობას შესანიშნავი მნიშვნელობა ჰქონდა, აქვს დღესაც—და უეჭველია ექნება მომავალში—მთელს საერთოდ კავკასიისათვის და განსაკუთრებით საქართველოსათვის. ვინც თვალს არა ჰხუჭავს საქართველოს ცხოვრების მსვლელობის წინაშე, რომელიც ჩვენი ქვეყნის აღებ-მიცემობის განვითარებაში გამოიხატება, განა ეს განვითარება — შეიძლება ვთქვათ ერთიანად ბაქოს ზე-გავლენით არ მოხდა? ვინ არ იცის ამიერ კავკასიის რკინის გზის—ბაქო-ბათუმის სიცოცხლის და არსებობის ისტორია, განსაკუთრებით ის პირველი ხანები მისი აღდგენისა, როცა მე 50—60 წ. წ. ამ გზის გაყვანის აზრი იფურჩქნებოდა სხვა და სხვა ინჟინერ-მოღვაწეთა თავში, უმთავრესად დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ხელში—რა სუსტ საფუძვლებზე და მცირე შემოსავლის მოლოდინში იწყებდნენ ისინი პირველ რკინის გზის შტოს—ფოთ-შორაპნის გაყვანას. კავკასიის რკინის გზას, მის გამყვანთა აზრით, მხოლოდ თავისი ხარჯი უნდა დაეფარა, მას რომ უფრო სტრატეგიულის აზრით ეკიდებოდნენ მთავრობის მაღალი სფერები, მაგრამ პირველ მოღვაწეთა შეხედულება კავკასიის რკინის გზაზე ცხოვრებამ ძალიან მალე გაამტყუნა და ხსენებულ რკინის გზის ავტორიტეტი დღითი-დღე სახელისა და ავტორიტეტის უმწვერვალესამდე აჰყავდა. ამ გარემოებაში უდიდესი, გადამჭრელი მნიშვნელობა ბაქოს ნავთის მრეწველობას ჰქონდა.

რკინის გზის მაგისტრალის გაყვანიდან, ბაქოს ნავთის წარმოება შესანიშნავ სისწრაფით ვითარდება, რკინის გზას ეხსნება სამეურნეო და სოეკონომიო ფართე ასპარეზი, ნავთის წარმოების ბუმბერაზული ნაბიჯი ერთიანად აცხოველებს მთელ ბაქო-ბათუმის გზას. ამ გზის გასწვრივ მდებარე სოფლებში ცოცხლდება ვაჭრობა, აღებ-მიცემობა ცხოველდება და მიყრუებული საქართველოს სოფლები მსოფლიოს კულტურას ეცნობა. ბაქომ კორიანტელი ააყენა ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში. ბაქოს მრეწველობა თავის მხრივ იწვევს როგორც ასტრახანის, ცარიცინის და სხვა ხე-ტყის სამეფო ცენტრების ისე ბათუმ-ფოთის აყვავებას და ხელს უწყობს ყოველგვარ ქარხნების წარმოშობას. ნავთი თავისთავად შეიძლება ჩვენში დიდმნიშვნელოვანი არ იყოს, მაგრამ ნავთის წარმოებამ ჩვენში წარმოშვა მთელი რიგი ქარხნებისა, ფაბრიკებისა, საზოგადოებრივ სამუშაოთა და საერთო პირობების მწარმოებელ ძალების განვითარებისა. განა ამის ცოცხალ მაგალითს არ გვაძლევს გამდიდრებულ-გამშვენიერებული სამრეწველო ბათუმი და შემდეგ კი იგივე ბათუმი მიმკვდარებული, ფაფარ დაცვენილი და დაკნინებული?

ბაქოს ნავთის მრეწველობამ პირდაპირ გამოიჩეკა მრავალი რკინისა და ლითონის ჩამომსხმელი ქარხნები ქალაქ ბათუმში, გააცოცხლა ხეტყის წარმოება საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში, როგორც მაგალითად ფოთში, ბათუმში, ოჩამჩირეში, ნატანებში, გაგიდაში და სხ.. ნავთის საჭიროებამ შეჰქმნა აგრეთვე სხვა და სხვა გვარის ყუთებისა და ბოჭკების ქარხნები, სოფლებიდან თავი მოუყარა სოფლის ზედ-მეტ ელემენტად გადაქცეულ მშრომელ ხალხს, მრეწველურ შრომით გაუხსნა მათ სამუშაო ძალას საზოგადოებრივ კეთილდღეობის შესაქმნელი ასპარეზი და მით, რაღა თქმა უნდა, მარტო ბათუმის აღებ-მიცემობის საქმე კი არ გამობრუნებულა, არამედ მან დიდი გავლენა იქონია მთელ საქართველოს სოფლებზე, რადგან ვაჭრობა-აღებ-მიცემობის გამოწვევა-განვითარებით ცხოვრებაში გაიზარდა სხვა და სხვა მოთხოვნილება და საჭიროება სოფლის სხვა და სხვა ნაწარმოებზე. სოფლის ნაწარმოებზე ფასი მატულობს, სოფლის ყოველივე ნივთსა თუ საგანს ფასი და ღირებულება ეძლევა და ეს გარემოება სოფლის მწარმოებელ ძალთა კონცენტრაციას და შრომის ინტენსიფიკაციას იწვევს.

აი, ასეთ მნიშვნელოვანია საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებისათვის ბაქოს ნავთის მრეწველობა. მაგრამ... როცა ჩვენ ამ დიდ-მნიშვნელოვან ფაქტორს საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვეხებით, ვცდილობთ გავითვალისწინოთ მისი მდგომარეობა და შესაძლებელი, მახლობელი მომავალი და სხ.

შემდეგ წერილში ბაქოს ნავთის მრეწველობას გვინდა შევეხოთ, გვსურს მკითხველ საზოგადოების ყურადღება მივაპყროთ იმ საშინელ კრიზისზე, რომელიც, ეხლა შეიძლება ვთქვათ, უკვე განიცადა ბაქოს მრეწველობამ და აღვნუსხოთ მთავრობის ის ირაციონალური ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც აუშენებია მას ვიწრო ფისკალურ ინტერესების სასარგებლოდ და მთელ მრეწველობის შესავიწროებლად.

თევდ. ღლონტი.

ჩხოლარია, ელიზბარ შურღაია და ევსევი ერისთავი.

✦ მომავალის სამოსწავლო წლის დასაწყისიდან ეპარქიალურ ქალთა სასწავლებელში მოსწავლე საერო წოდების შვილები და სხვა ეპარქიიდან შემოსული სასულიერო წოდებისაც სწავლის ფასად გადაიხდიან წლიურად ხუთს თუმანს, ნაცვლად ოთხი თუმნისა. იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების შვილები კი, რომელნიც ამ ოთხი წლის განმავლობაში უფასოდ სწავლობდნენ, გადაიხდიან ექვს მანეთს. ეს დადგენილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ სამღვდელოებისაგან გადადებული თანხა სასწავლებელს, რომელიც დღეს რვა-კლასიან გიმნაზიას წარმოადგენს, ველარ ინახავს. („კოლხ.").

✦ ქალაქის საბჭომ თანახმად გამგეობის წევრის კ. დ. ბაქრაძის მოხსენებისა, შესცვალა 1910 წლის 14 ივნისის დადგენილება. ამ დადგენილებით იმ მოიჯარადრეთ, რომელნიც ადგილის იჯარას არ იხდიან, უნდა ჩამოართმეოდათ ადგილები და საჯარო ვაჭრობით კაცემულიყო ახალ მოიჯარადრეებზე. საბჭომ შესაძლოდ სცნო ნება მიეცეთ ძველი მოიჯარადრეებს დაიტოვონ ადგილები, თუ საჯარო ვაჭრობის დღემდე ქალაქის კასაში მათზე დარჩენილ საიჯარო გადასახადებს შეიტანენ.

✦ ქუთაისში ძლიერი სიცხეები დაიჭირა. 18 ივნისს, მაგალითად, სიცხე რეომიურით 42 გრადუსამდე ავიდა.

## სოხუმი

✦ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების გამგეობამ 18 ივნისს სხდომაზე დაადგინა მეორე მასწავლებლის ადგილზე მოიწვიოს ს. ცაიშის ორკლასიანი სკოლის ზედამხედველი ნ-ე ალმასხანის ძე ქურიძე (ზომლეთელი).

## თიანეთი

✦ 16 ივნისს მევენახეთა „კახეთის" საზოგადოების კრება დაიწყო. კრება დილითაც და საღამოსაც იყო და ორ დღეს გაგრძელდა. დაწვრილებით ანგარიშს შემდეგ მოვათავსებთ.

## პროვინცია

✦ **ქიათურა.** ამ ბოლო დროს ქიათურაში სასწორების წვა გახშირდა. 13 ივნისს, ღამის 10 საათზე, ცეცხლი წაუკიდეს პანსევის კანტორის სასწორს, 16 ივნისს—ავგერინოვისას. 14 ივნისს პატარა ჭიქოურში გადასწვეს პერსენაკის კანტორის სასწორი. დამნაშავე ვერც ერთხელ ვერ დაიჭირეს.

✦ **ს. სტეფანწმინდა** (ყაზბეგი). 19 თიბათვეს აქ გვეწვია ტფილისის გუბერნატორი ბ-ნი ჩერნიავსკი. ყაზბეგის სადგურზე მას პურ-მარილით შეხვდა მთელი სოფლის საზოგადოება; გენერალმა ყაზბეგმა გადასცა ხალხისაგან მოსალმება და უსურვა დღეგრძელობა; გუბერნატორმა მადლობა გადაუხადა როგორც გენერალს, აგრეთვე საზოგადოებას, და შეჰპირდა სამკურნალოს დაარსებას. ამის შემდეგ სადილად მიწვეულ იქმნა გენერალ ყაზბეგთან. სადილის შემდეგ დაათვალიერა ეკლესია, სახელოსნო სასწავლებელი, რომელიც გ. ყაზბეგის მეთაურობით არის დაარსებული და ახლად აშენებული სამრევლო სკოლის შენობა, რითაც კმაყოფილი დარჩა. ნაშუადღევის 3 საათზე სტუმარი დაბრუნდა ტფილისში.

✦ **დაბა ოჩემჩირე.** ჩვენს დაბაში 13 ივნისს ღამით ხანჯლით მოჰკლეს აფხაზი ალექსანდრე ციციბავა, და როგორც ამბობენ, მკძებარ ძალლის შემწეობით დააპატიმრეს მკვლელი დიმიტრი ბარკალაია. საზოგადოდ აქეთ ძალიან გახშირებულია მკვლელობა. ამ წინეებზე მოჰკლეს მეეტლე ზერზენია, რამაც კინაღამ ძმათა შორის სისხლის ღვრა არ გამოიწვია: ქართველობამ ადგილობრივ ლაზებზე მიიტანა ეჭვი, მკვლელი სათათრეთში გააქციეს და

პროვოკატორთა სასიხარულოდ კინაღამ ნამდვილი! ბრძოლა არ გაჩაღდა, მაგრამ დაბოლოს გონიერებამ სძლია და დამშვიდდნენ. ლაზთა დუქნები სამი-ოთხი დღე სრულებით დაკეტილი იყო.

წრეულს აქ დიდ-ძალი სიმინდი მოაქვსთ, მაგრამ სამწუხაროდ ფასები ძლიან ცოტაა. აუტანელი გვალვაა, და მცხოვრებთ სამესამედოთაც არ აქვთ ყანები დათესილი; მომავალში შიმშილობა აუცილებელია.

## დ. ზ. სარაჯიშვილი.

კაცი იყო, შრომითა და მოყვასთა სიყვარულით სრული, ქვეყნის სიყვარულით ძლიერი! განა ასეთი ძლიერებით აღჭურვილს სიკვდილი მოერევა?

სიკვდილი მკვნართა ხვედრია, რომელთაც სიცოცხლე კუჭის ტრფიალებაში დაულევიათ, და ქვეყანა, ქვეყნის ბედი ფიქრადაც არ მოსვლიათ. აქ შესჭამეს მამა-პაპეული წმინდა განძი!

სიკვდილი მცონართ, რომ, თუ არ ზიზღით, აღარავინ მოიხსენიებს!

ეს კი კაცი იყო, ქვეყნის სიყვარულით განათლებული!

გაჭირვებულს, დაბეჩავებულს ქვეყანას ემსახურა, მანამ შეეძლო და ახლა.. ახლა ლამპრად აენთო მწუხრში მყოფ სამშობლოს, სასოწარკვეთილ მშრომელ ხალხს კვლავ გაუღვიძა თითქმის ჩამქრალი ძველი იმედი:—„გმადლობ, შენ ღმერთო, კიდევ ჰყოლია ჩვენს ქვეყანას ერთგული შვილიო"!

აქ სიკვდილს რა ხელი აქვს?

აქ მიცვალებაა, ესე იგი უკვდავება.

**ივ. მაჭავარიანი.**

# დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის გარდაცვალების გამო

**რედაქციამ შემდეგი სამგლოვიარო დეპეშები და წერილები მიიღო:**

თავზარი დაგვცა ჩვენ, ძვირფასისა და დაუვიწყარის ადამიანის და დიდად პატივცემულის „ხაზეინის" გარდაცვალებამ.

ძვირფასო ადამიანო! საუკუნოდ იყოს ხსენება შენი ჩვენს გულში შენს მადლიერ მუშათა შორის, რადგან შენ ჩანერგე ჩვენში ადამიანური მუშაობა.

დ. ზ. სარაჯიშვილის ქარხნის მუშები № 2. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 92.: 1) გ. შახნაზაროვი (ანაშვილი), 2) ვ. ს. ხუბეროვა, 3) ქაჩლიშვილი, 4) პავლე ყაზახაშვილი, 5) ნ. ოკინოშვილი, 6) ვ. ბაინოვი, 7) მიხეილ ფაფთაშვილი, 8) ვანო ყიფშიძე, 9) დავით ნაცვალოვი, 10) სარქის მადოვ., 11) ლევანა ხახვიაშვილი, 12) ყასიკოვი, 13) კველიშვილი, 14) ჯორბენაძე, 15) ქიტუაშვილი, 16) ?ჩ, 17) მიხა ჩალაური, 18) ტატულოვი, 19) დ. კოკოზაშვილი, 20) ზ. სულხანოვა.

რედაქციამ მიიღო შემდეგი დეპეშა: ხონის საოსტატო სემინარიის ექსკურსიამ გზაში გაიგო სამწუხარო ამბავი საუკეთესო ქართველისა და ქველ-მოქმედ დ. ზ. სარაჯიშვილის გარდაცვალებისა. მცხეთაში გადავიხადეთ პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის დროს გალობდნენ ქართულად თვით ექსკურსანტები. გულითა ვგლოვობთ დავით ზაქარიას ძის დაკარგვას და ვუცხადებთ ჩვენ გულწრფელ თანაგრძნობას გარდაცვალებულის პატივცემულ მეუღლეს.

**მასწავლებელნი: გ. ბურჭულაძე, გ. ბოკერია.**

ვუცხადებთ ჩვენს ღრმა მწუხარებასა და თანაგრძნობას დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის გარდაცვალებისა გამო მის მეუღლესა და ნათესავებს. მისის გარდაცვალებით ჩვენც დავკარგეთ გულკეთილი, ჩვენი მფარველი და მზრუნველი მამა.

სავაჭრო-სამრეწ. ამხანაგობა „ვერა"-ს წარმომადგენელნი **ნ. ა. ხახუტაშვილი, ვ. გ. ენუქიძე, ს. ლ. ნანობაშვილი.**

ქალაქის პოლიციამ **ა. ხატისოვმა** გუშინ კომიტეტს შეატყობინა, რომ ქალაქის მხრივ ოფიციალურ წარმომადგენლად იგზავნება გამგეობის წევრი **გ. დ. ჟურული.**

წერა-კითხვის გამ. საზოგადოებასთან შემდგარმა კომიტეტმა აირჩია **ბიურო**, რომელსაც უნდა მიმართონ ყველა დაწესებულებათა და საზოგადოების წარმომადგენლებმა, როგორც პროვინციიდან, ისე ადგილობრივ.

21 ივნისს შესდგა კავკასიის კონიაკის ამხანაგობის „არგოს" საგანგებო კრება; კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულს დ. ზ., სარაჯიშვილის ხსოვნას და დაადგინა: გამგეობის მთელი შემადგენლობით დაესწროს დასაფლავებას და კუბო ვერცხლის გვირგვინით შეამკოს.

**დ. ზ. სარაჯიშვილის** გარდაცვალებისა გამო „რექტიფიკატის" ამხანაგობის გამგეობამ საგანგებო საზოგადო კრება მოახდინა, რომელმაც ფეხზე ადგომით მოისმინა სამწუხარო ამბავი ამხანაგობის დამაარსებლის პატივცემულ და გულითად დავ. ზაქ. სარაჯიშვილისა და დაადგინა:

1) გამგეობას მიენდოს ამხანაგობის სახელით სამძიმარი გამოუცხადოს განსვენებულის ქვრივს ეკატერინე ივანეს ასულს. 2) განსვენებულის კუბო ვერცხლის გვირგვინით შეამკოს და ამხანაგობის მეპაიენი მთელის შემადგენლობით დაესწრნენ ყველა პანაშვიდებსა და დასაფლავებას.

შესანიშნავ ქველ-მოქმედსა და საზოგადო მოღვაწის **დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის** გარდაცვალების გამო, ქართული საზოგადოება **„განათლების"** გამგეობამ საგანგებო კრებაზე დაადგინა: „განათლების" სკოლაში დაარსდეს განსვენებულის სახელობის სტიპენდია, დაესწროს მის დაკრძალვას და კუბო კვირგვინით შეამკოს.

21 ივნისს, საღამოს შვიდ საათზე განსვენებულის **დ. ზ. სარაჯიშვილის** ბინაზე გადახდილ იქმნა პანაშვიდი. პანაშვიდს დაესწრო ტფილისის გუბერნატორი ჩერნიავსკი მეუღლით, ქალაქის მოურავი ა. ხატისოვი, ქალაქის გამგეობის წევრნი, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი და მუარებელი ხალხი. პანაშვიდის შემდეგ წარმოსთქვეს სიტყვები გუბერნატორმა ჩერნიავსკიმ, მოურავმა ხატისოვმა და ყარანგოზიშვილმა.

**ბ. ჩერნიავსკიმ** მოკლე სიტყვაში საუცხოვოდ დაასურათა ის გრძნობა, რომელსაც განიცდის კაცი, როდესაც სიკვდილს თვალებში შეჰყურებს. სამწუხარო ფიქრებს იწვევს ადამიანის გულში გარდაცვალება და მით უმეტეს ასეთი დიდებული მამულიშვილისა, როგორიც იყო დ. ზ., მაგრამ სანუგეშოდ ისა რჩება ცოცხლებისათვის, რომ მთელი მისი მოღვაწეობა უმწიკვლო, უანგარო ქველ-მოქმედება იყო და პატიოსან ადამიანისაგან ნაანდერძევი გულისთქმა საუკუნოდ დარჩება ხალხის გულში.

**ბ. ხატისოვმა** აღნიშნა თუ რა მიღებული მოღვაწე და მოქალაქე დაჰკარგა ქალაქმა და რა საუცხოვო ერთგული შვილი დაჰკარგა საქართველომ დ. ზ. გარდაცვალებით. დავით ზაქარიას ძე ნამდვილი ქართველი იყო, სამშობლო ქვეყნისა და ერისადმი გულწრფელი სიყვარულით გატაცებული. იმისი ფიქრი მუდამ იმისაკენ იყო მიმართული, თუ როგორ აეყვავებინა სამშობლო ერი. მან დაგვიმტკიცა, რომ შეიძლება კაცი ნამდვილი ევროპიელი იყოს, კოსმოპოლიტი და თანაც ნამდვილი შვილი თავის სამშობლოისა, ნამდვილი ქართველი. დიდ მწუხარებას განვიცდით ასეთ მოღვაწის დაკარგვით, მაგრამ სანუგეშოდ ისა გვრჩება, რომ პატარა ერების ხვედრით ასეთ საუცხოვო პიროვნების წარმოშობა და მომავალშიც არ მოგვაკლებს მათ.

შემდეგ ხატისოვმა მოქალაქეთა, ქალაქის საბჭოსა და გამგეობის მხრივ გულწრფელი თანაგრძნობა გამოუცხადა გარდაცვალებულის ქვრივს.

## ქუთაისის ამბები

გაუგებარია ჩვენი საზოგადოების გულგრილობა ისეთ სიმპატიურ დაწესებულებისადმი, როგორიცაა ადგილობრივ ღარიბ სტუდენტთა დამხმარი საზოგადოება. 19 ივნისისათვის მესამეჯერ იყვნენ მოწვეულნი საზოგადოების წევრნი მორიგ საზოგადო კრებაზე; ამ დღისათვის გამგეობამ საგანგებო წერილებიც კი დაუგზავნა ადგილობრივს ინტელიგენციას, სთხოვა კრებაზე მოსვლა და საზოგადოების წევრად ჩაწერა; მაგრამ ჩვენს ინტელიგენციას განა წერილებით შეაგნებინებ რასმე. განხილულ და დამტკიცებულ იქმნა წარსული წლის ანგარიში, რომელსაც არავითარი კამათი არ გამოუწვევია. დაავალა გამგეობას, რომ მომავალში აძლიოს სტუდენტებს ერთდროულ დახმარება 15 მანეთიდან 25 მანეთამდე. დახმარების რაოდენობის განსაზღვრის დროს გამგეობამ უნდა იხელმძღვანელოს სათვისტომოებიდან მიღებული ცნობებით, ამ თუ იმ სტუდენტის ნივთიერი მდგომარეობის შესახებ.

დასასრულ აირჩიეს გამგეობის წევრები, მათი კანდიდატები, მდივანი, ხაზინადარი და სარევიზიო კომისიის წევრები.

გამგეობის წევრებად აირჩიეს: ე. ნ. ხეჩინოვისა, ს. ი. ხეჩინოვი, ს. ი. ტერტეროვი, გ. პ. მოსეშვილი, გ. ა. ლეჟავა, ბ-ნი სადიკოვი (მთავრობის გიმნაზიის ინსპექტორი) და ა. პ. სვანაძე; მათ კანდიდატებად ი. დ. ბოკერია, რ. კანდელაკი და ი. მ. ჩიქოვანი. სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ი. ი. პურადაშვილი, ე. ი. ნიკოლაძის ასული და ქ-ნი ჯაყელისა.

## სოხუმის ამბები

უკანასკნელ სხდომაზე ხმოსან რულიცკის წინადადებით ქალაქის გამგეობის დასახმარებლად (ეხლა ორი წევრია გამგეობაში—თ. ანჩაბაძე და ალ. მაჭავარიანი) ქალაქის თავის მოადგილედ არჩეულ იქმნა ხმოსანი პრეობრაჟენსკი გიმნაზიის დირექტორად ნამყოფი. ვნახოთ, რა ფხასა და უნარს გამოიჩენს ბატონი პრეობრაჟენსკი. ჩვენ პირადად ეს არჩევანი მეტად მიგვაჩნია, რადგანაც დღეს თუ ხვალ იქნება დამტკიცებული ქალაქის თავად ალ. შერვაშიძე. მეტსაც ვიტყვით: გამგეობის ერთ-ერთ წევრს (თავ. ანჩაბაძეს) ვადა უთავდება შემოდგომაზე და ალბად ეხლავე უნდა შეარჩიონ საზოგადოება ბ. პრეობრაჟენსკის, რათა მათ უზრუნველჰყონ მისი არჩევა.—ამ არჩევანს მეტი მიზანი არა აქვს რა. თუ იმედი არ გაგვიცრუვდათ, საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ბნ. რულიცკი და მისი თანამოაზრე ხმოსნები ისეთს შთაბეჭდილებას ახდენენ უბრალო მამაკვდავებზე, თითქო მათი მისია ვითარცა ხმოსნებისა, იყოს მხოლოდ „უპრავის" კილვა და მისი პრესტიჟის გაქარწყლება, და ამით ვისა და რას მოუტანენ სარგებლობას, ემ მხოლოდ უფალმა უწყის. კილვით საქმე რომ გაკეთდებოდეს, სოფლის უსაქმური დედა-კაცები ქვეყანას გააშენებდნენ.

**ხოხუმელი ჩიორა.**

## ხმა სამტრედიიდან

ადგილობრივ განყოფილების ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების გამგეობის 7 ივნისის კრებაზე მოხდა არჩევნები თავმჯდომარის ამხანაგისა, მდივნის და ხაზინადრისა; ძველმა გამგეობამ ახალს ჩააბარა ანგარიში; დადგენილ იქმნა გამგეობის ჩვეულებრივი კრებები გაიმართოს თვეში ორჯერ: პირველს და ხუთმეტ რიცხვებში. შემდეგ გაიმართა კამათი სეირნობის და მუდმივად წარმოდგენების მოწყობის შესახებ. ამ მიზნისათვის კრებამ დაადგინა მომავალ გამგეობის კრებაზე მოიწვიოს ერთ-ერთი ხონში მყოფი მსახიობთაგანი: ბ. ზარდალიშვილი ან. ბ. შალიკაშვილი საქმის გამოსარკვევად. სეირნობის გასამართავად გამგეობამ დაავალა თავისგან ამორჩეულ კომისიას შეიტყოს სასეირნო ადგილის დაქირავებისა და სეირნობის მოწყობის პირობები.

15 ივნისის კრებაზე დაესწრო ბ. ზარდალიშვილი. მან და ბ. შალიკაშვილმაც სამტრედიაში წარმოდგენების მოსაწყობად ჩამოსვლაზე უარი განაცხადეს, რადგანაც ხონში იქაურ წ.-კ. საზოგადოების გამგეობასთან ხელ-შეკრულობა დაუდვიათ. ბ-ნმა ზარდალიშვილმა განუმარტა გამგეობას, თუ როგორ შეიძლება საქმის მოწყობა. გამგეობის კრებამ საკითხის გამორკვევის შემდეგ ასეთი დადგენილება მიიღო: ახლო მომავალში მოწვეულ იქმნას კრება, შემდგარი ადგილობრივ ინტელიგენტებისა და სცენის მოყვარეთაგან. ამ კრებამ უნდა განიხილოს საკითხი, რომელი მსახიობი მოიწვიონ და რა პირობებით. იგივე კრება აირჩევს სცენის მოყვარეთა წრეს, რომელიც გამგეობისა და რამოდენიმე გარეშე ინტელიგენტთა ხელმძღვანელობით დაიწყებს მუდმივად წარმოდგენების მართვას.

სია იმ პირთა, რომლებიც უნდა იქმნენ მოწვეულნი აღნიშნულ კრებაზე, გამგეობამ უკვე შეადგინა. კომისიის მოხსენების შემდეგ, რომელსაც სეირნობის გასამართავად ბაღის დაქირავების საქმე მოუწყვია, გამგეობამ გადასწყვიტა გამართულ იქმნას სახალხო ფასიანი სეირნობა 3 ივლისისათვის „ედემის" ბაღში. დაადგინეს ეთხოვოს, რათა დიასახლისობა იკისრონ ქ. ქ. მ. გლადკოვისამ, 2) მაქსიმოვსკისამ ალხაზაშვილისამ. ნებართვას გამგეობის თავმჯდომარე აიღებს. დასასრულ აირჩიეს კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს სამტრედიის ბიბლიოთეკისათვის ახალი კატალოგი და გამოიწეროს წიგნები უკვე გადადებულის ფულით.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ გამგეობის მოქმედებას თანდათანობა ეტყობა. ჯერ-ჯერობით ის საქმეს სერიოზულად ეკიდება, და არის ნიშნები, რომ შემდეგშიაც ასე ენერგიულად განაგრძობს მუშაობას.

**პეხიმიხტი.**

## მოწერილი ამბები

**იანეთი** (ქუთაისის მაზრა). იყო დრო, როდესაც იანეთლებს ეწრედებთან საზიარო სკოლა ჰქონდათ, რომელიც მოსწავლეთა რიცხვს ვერ ხვმაყოფილებდა. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ზოგიერთმა მადლიანმა პირმა და მათი მეცადინეობით იანეთლებმა პირველად საკუთარი ერთ კლასიანი სკოლა დაიარსეს, რომელიც შემდეგ ორ კლასიანად გადაკეთდა. მართალია სკოლის საქმე თავიდანვე კარგად მიდიოდა, მაგრამ ამ სიკეთესთან ერთად თან დაჰყვებოდა ერთი მეტად ცუდი მხარე: შემოღებული იყო სწავლის ფული, რომელსაც მხოლოდ მოსწავლეთა მშობლები იხდიდნენ და არა მთელი საზოგადოება. რამდენიმე წლადაც ასეთი დადგენილება აფერხებდა იანეთის სკოლის წინსვლას. ბევრი ხელმოკლე გლეხის შვილი სკოლის გარედ რჩებოდა უსწავლელი. მაგრამ მადლობა სანუგეშოდ სკოლის საპატიო მზრუნველ ბ-ნ იოსებ კოხრეიძის მეცადინეობით ამ საკითხსაც ბოლო მოეღო. 14 მაისის ყრილობაზე, სადაც ამ სოფლის აუარებელმა გლეხკაცობამ მოიყარა თავი, ხანგრძლივი თათბირის შემდეგ განაჩენი დაადგინეს: ჩვენ სოფელში მომავალ სამოსწავლო წლიდან სასოფლოთა, უფასო სწავლა იქმნეს შემოღებული და ის ხარჯები, რომელიც დღემდე მარტო მოსწავლეთა მშობლებს აწვა კისერზე, მთელ საზოგადოებას გადაჰხდეს.

ამავე დღეს ბ. ი. კოხრეიძის წინადადებით აღძრა საკითხი მომავალი დედათა სკოლის დაარსებისათვის. იანეთლების სასახელოდ ეს კითხვაც კარგად დაბოლოვდა და საზოგადოებამ დაადგინა: გაიხსნას ქალების პროფესიონალური სკოლა, რადგან ამ ტიპის სკოლაში კურს დამთავრებული ქალიშვილები ცხოვრებაში უფრო რეალურ ნიადაგზე დგანან, ვიდრე სხვები.

იანეთლებმა მოკლე ხანში რკინის გზის ბაქანთან ბაზარი დაიარსეს.

ამ მოკლე ხანში მოქმედებას დაიწყებს წვრილი საკრედიტო საზოგადოება.

**კიკო.**

**სოფ. ბაკურიანი.** ივნისის პირველ რიცხვებში თოვლი მოვიდა, მაგრამ საღამომდის არც კი გასტანა. ეხლა მშვენიერი ამინდებია. სისუფთავეს დიდი ყურადღება მიაქცია ადგილობრივმა პოლიციამ. საიჯარო სახლებიც ბევრია თავისუფალი და სანოვაგეც შედარებით იაფი. ძროხის ხორცი გირ. 14 კ. ცხვრისა 18 კ. პური 1 ხარისხ. $4^1/_2$ კ. 2 ხარ. 4 კ. რძე ჩარექი 10 კ. ყველი გირ. 15 კ. კარაქი 40 კ. კვერცხი 10 ცალი 15 კ.

უმორჩილესად გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ამ წერილს და სხვა რუსულ გაზეთებშიაც გადაჰბეჭდოთ.

**მთიული.**

## ალბანეთის აჯანყება

### დეპეშები

21 თიბათვე.

**ცეტინიე.** სააგენტოს კორესპონდენტი ოსმალეთის ელჩს სადრედინ-ბეის ესაუბრა იმის თაობაზე, ვითომც ჩერნოგორიის მთავრობას უცხო სახელმწიფოთა ალბანეთის საქმეში ჩარევა ჰსურსო. სადრედინ-ბეიმ უპასუხა, არავითარი საფუძველი არ არის საიმისოდ, რომ უცხო სახელმწიფონი ჩაერივნენ ალბანეთის საქმეებშიო. ოსმალეთი საკმარისად ძლიერია, და თავის ქვეშევრდომთ თითონვე გაუძლვებაო. ჩერნოგორიას და ოსმალეთს არავითარი უთანხმოება არ უნდა მოსვლოდათ. სადრედინ-ბეის ჰგონია, რომ მთავრობა ალბანელებს რამდენიმე შეღავათს მისცემს. კორესპონდენტმა ჰკითხა: რა მდგომარეობაშია ჩერნოგორიის მიერ გაწეულ ხარჯების ანაზღაურების საქმეო? ელჩმა უპასუხა: ჩერნოგორიას შეიძლება მხოლოდ ის ხარჯები აუნაზღაურდეს, რომლებიც მან კაცთ-მოყვარეობით გასწიაო.

**სტამბოლი.** 5 მეთაურმა და 200 მეომარმა მალისორებმა განაცხადეს, ოსმალეთს იმ პირობით დაემორჩილებით, თუ სხვა მეთაურებთანაც შევთანხმდითო.

## მოწოდება ალბანელებისა

გაზ. „რუსკ. სლოვოს" ალბანელებისაგან დასაბეჭდად მოსვლია მოწოდება, რომელიც ალბანელებმა ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს გაუგზავნეს ევროპის სახელმწიფოთათვის გადასაცემად. აი მოწოდებაც:

„თქვენო მაღალ-აღმატებულებავ! აღფრთოვანებულნი იმ რწმენით, რომ თქვენ ღირსეული წარმომადგენელნი ბრძანდებით იმ ერისა, რომელსაც თავისი სახელოვანი ტრადიციები აქვს, მოგმართავთ ამ თხოვნით. ინგლისის ერი, რომელიც თავისუფლების, ადამიანობის და პატრიოტიზმის გამომხატველია, ჩვენთვის მოვლინებულია იმ ერის სურვილების ამხსნელად, რომელიც ეხლა თავის არსებობისათვის იტანჯება. ამიტომ სრულის ნდობით და თხოვნით მოგმართავთ, თქვენო აღმატებულებავ, ევროპის მთავრობათ ჩვენი თავაზიანი თხოვნა გადასცეთ.

ვისაც ევროპის თვალში ჩვენი გაშავება ჰსურს, ისეთ ხმებსავრცელებს, ვითომც ჩვენ ყაჩაღები, ქურდები, ძველი წეს-წყობილების ბურჯნი და ახალგაზდა ოსმალების მტრები ვიყვენით. ამის შეოხებით, არა თუ მარტო ოსმალები გვდევნიან, განათლებული ერებიც კი ზიზღის თვალით გვიცქერიან. დაე ევროპამ იცოდეს რომ ჩვენ გულწრფელნი და ერთგული მომხრენი ვართ კონსტიტუ-

ციისა. სრული სიმართლეა, რომ ძველი წეს-წყობილების დროს მრავალი უპირატესობანი გვქონდა. ეს უპირატესობანი იმ სისხლით შევიძინეთ, რომელიც ოტომანის იმპერიის სადიდებლად დავანთხიეთ. მაგრამ ამ უპირატესობაზე უარი ვსთქვით, რადგანაც იმედი გვქონდა, რომ ახალი წეს-წყობილება მთელ იმპერიას და ჩვენს უბედურ ქვეყანასაც პროგრესისა და წესიერების გზაზე დააყენებდა. ჩვენმა საუკეთესო მამულიშვილებმა, რომელნიც ძველმა რეჟიმმა ქვეყნის ოთხივ კუთხით გაჰფანტა, მთელი თავიანთი ძალა და აღფრთოვანება ახალგაზდა ოსმალეთს ანაცვალეს და სულთან აბდულ-ჰამიდის გვარდიაშიაც, ალბანელებთაგან შემდგარში, ამ საუკეთესო გვარდიამ, რომელსაც რეფორმატორების დამარცხება მარტოს შეეძლო, ოსმალეთის აჯანყების დროს თოფები ფეხ-ქვეშ ჩაიყარა და ძველი რეჟიმის დამარცხებას საბოლოოდ ხელი შეუწყო.

ევროპამ ისიც უნდა იცოდეს, თუ როგორ ხდებოდა პალატის არჩევნები, როგორ ადასტურებდნენ კანონები და როგორა ჰსურდათ ამ კანონების მოხმარება. საარჩევნო სისტემა ძლიერ შევიწროვებული იყო და განსაკუთრებული ტენდენციები ჰქონდა ისე, რომ პალატაში ამ ტენდენციების მომხრენი იქმნენ არჩეულნი. ამ ტენდენციებით იყო გაჟღენთილი თვით კანონებიც და მაშასადამე, კანონებ სასარგებლო იყო მხოლოდ ხალხის ერთ ნაწილისათვის, სახელდობრ—ოსმალებისათვის. ნამდვილად კი, ოტომანის იმპერია თუ ძალად იყო შეერთებული აბსოლუტურ რეჟიმის დროს ეხლა, როდესაც კონსტიტუციაა, იმპერიის მრავალ-ეროვნების მიხედვით, ოსმალეთის შეერთება მხოლოდ კონფედერატიულად შეიძლება. ის ფაქტი, მაგალითად, რომ სწავლება იმპერიის ყოველ ადგილას უპარტიო, თანასწორი და ერთგვარი უნდა იყოსო, შეიძლება ერთი შეხედვით ვისმეს სამართლიანიც ეგონოს, მაგრამ თუ ამას კარგად დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ასეთი სწავლება ერთა ენის დაცემას იწვევს და მაშინ კი ყველასათვის ცხადი იქნება, რომ ასეთი კანონი რეპრესიულია.

იქ ფაქტი, რომ მთავრობას დავალებული ჰქონდა იმპერიაში ყველგან ერთნაირი ბაჯი გაეწერა, შეიძლება ვისმეს კანონიერი და პროგრესიული ეგონოს. ნამდვილად კი, ჩვენი უბედური ქვეყანა, იმპერიაში ულარიბესი მხარეა, და მიუხედავად ამისა ისევეა დახარკული, როგორც იმპერიის უმდიდრესი ადგილები. ამას გარდა, ქრისტიანებზე მეტი ხარკია გაწერილი ვიდრე მაჰმადიანებზე.

ხარჯების რაოდენობა რამე გადაჭრილ ნორმებით არ არის გაწერილი; ხარჯებს მოხელეები აწერენ; ამ მოხელეებს ხშირად კიდეც დაჰქრთამავენ ხოლმე.

მთავრობა იარაღის დაყრასა გვთხოვდა ეს მისი უცილებელი უფლება იყო. მართალიც და, რად მოხდა, რომ იარაღი ხალხმა ყველგან ასე აიყარა, რომ წინაალმდეგობა არავის გაუწევია? მაგრამ სამხედრო პირები, რომელთაც ხალხისაგან იარაღის აკრეფა ჰქონდათ დავალებული, მარტო იარაღის აკრეფით არ დაკმაყოფილდნენ, არამედ ჩვენი ცემაც მოისურვეს. ძვირფასს იარაღს რომ გვართმევდნენ, სამაგიეროდ ერთი კაპეიკიც არ მოუციათ ჩვენთვის.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ახალმა წეს-წყობილებამ დანაპირევი არ აგვისრულა, მთავრობა არც გზა-ტკეცილების, არც ხიდების, არც რკინის-გზების გაყვანას, არც ციებიან ადგილების გაწმენდას და ას-წლოვან ტყეთა გაკაფვას არ ეცადა, საერთო საკეთილ-დღეოდ არაფერი არ გაკეთებულა, ახალ სასწავლებლების გახსნის მაგივრად ძველებიც დაგვიკეტეს ვითომ იმიტომ, რომ ეს სკოლები სარწმუნოების წინააღმდეგნი იყვნენ. თუ ყველა ამას მხედველობაში მივიღებთ, ყველასათვის ცხადი იქნება, თუ რად აჯანყდნენ ალბანელნი აჯანყდნენ სილარიბისა და ძალმომრეობის რეჟიმის წინააღმდეგ, იმ რეჟიმასა, რომლისაგანაც ცოტა რამის იმედი მაინცა ჰქონდათ, მაგრამ ვერაფერი კი ვერ მიიღეს.

განა შეგვეძლო მშვიდობიან მოქმედებით რისთვისმე მიგვეხწია, როცა საკანონმდებლო კრებაზე ერთა წარმომადგენელიც კი არა გვყავდა ისეთი, რომელსაც ჩვენ გაჭირვებაზე ლაპარაკი შესძლებოდა? ჩვენში, თითქმის ყველგან, მახვილის რეჟიმი შემოიტანეს და ჩვენს უკმაყოფილებას „ბუნტი“ დაარქვეს. ამასთან, შეუძლებელი იყო, რომ ჩვენი მთიელები შეგვეკავებინა. ისინი ოსმალების საქციელმა მოთმინებიდან გამოიყვანა. ყველა ამის შედეგი ის იყო, რომ აჯანყებამ იფეთქა და ჩვენს უბედურ ქვეყანას მოედო.

დასაწყისში ბედმა გაგვიღიმა. ჩვენც ადამიანობის დიდი მაგალითი ვაჩვენეთ ქვეყანას. რაკი ჩვენ ტყვე სალდათებს ვერ მოვუვლიდით, ამიტომ მხოლოდ იარაღი ავყარეთ და გავანთავისუფლეთ ისე, რომ მათ სამშობლოში შეეძლოთ დაბრუნება, ან არა და ისევ ამხანაგებს შეუერთდებოდნენ; მაგრამ როდესაც ოსმალებმა გაიმარჯვეს, ჩვენ შიშით და ძრწოლვით უცქეროდით მათ სიმხეცეს. ამის მოწმე მრავალი ხალხია. ჩვენ სახლებს ცეცხლი წაუკიდეს, ეკლესიებს ზარბაზანი დაუშინეს, ჩვენი ქონება გაანადგურეს და ცეცხლ-წაკიდებულ სახლებში მრავალი ქალი და ბავშვი დაიღუპა.

მიუხედავად ყველა ამისა, ჩვენ ერთხელ კიდევ ვცადეთ მორიგება. სულთანს ერთგულება შევფიცეთ და მოწყალებასა და სამართლიანობას ვთხოვდით. პასუხიც კი არ გვაღირსეს.

მაშინ კი საქმის მოგების იმედდაკარგულებმა ბრძოლა გადავწყვიტეთ. ხომ კარგად ვიცით, თუ რამდენად უძლურნი ვართ იმპერიის დიდი ჯარის წინაშე, მაგრამ მაინც ვიბრძოდით. ვიბრძოდით იმიტომ, რომ ეგები ევროპას ყურადღება მიექცია ჩვენ ეროვნულ საქმებისათვის და მხოლოდ ამ წმინდა საქმისათვის გადავწყვიტეთ ბრძოლა, ჩვენ ხუთმა თუ ექვსმა თემმა, ამავე დროს ვიცოდით კი, რომ ჩვენი ძმები, ალბანელები, რომელნიც ალბანეთის სხვა-და-სხვა კუთხეში სცხოვრობენ, ისეთ მდგომარეობაში არიან ჩაყენებულნ, რომ ვერ გვიშველიდნენ.

ბრძოლა გადავწყვიტეთ. ვიბრძვით ჩვენთვის, ჩვენი შვილებისათვის, ჩვენი მოძმე ალბანელებისათვის, რომელნიც ჩვენი უბედური ბედის მსვლელობას გულის ფანცქალით ადევნებენ თვალ-ყურს.

გთხოვთ, თქვენო აღმატებულებამ, ყველაფერი ეს ევროპის სახელმწიფოებს შეატყობინოთ და დაარწმუნოთ, რომ მხარი დაგვიჭირონ. ვიცით, რომ საერთაშორისო ინტერესი მოითხოვს ბალკანეთზე პოლიტიკური თანასწორობის დაურღვევლობას, მაგრამ ამავე დროს, მიუხედავად ყველა იმ უბედურებისა, რომელიც თავს გადაგვხდა, ჩვენ კონსტიტუციურ მთავრობისადმი, რომელიც შეიძლება მრავალჯერ შესცდა ჩვენს საქმეში, სიძულვილი არა გვაქვს. მზადა ვართ, ჩვენი დიდი ხნის სურვილი—პოლიტიკური სრული დამოუკიდებლობა, იმპერიის უზენაესს ინტერესებს შევწიროთ; ამიტომ მხოლოდ ეროვნულ ვრცელ ავტონომიას ვთხოულობთ, ეს ავტონომია შეძლებას მოგვცემს ოტომანის იმპერიის ნაწილად დავრჩეთ.

დარწმუნებულნი ვართ, რომ ინგლისის კეთილშობილურ ტრადიციულ პოლიტიკას პატივსა სცემთ, და ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს თხოვნაზე უარს არ გვეტყვით და მისი უდიდებულესობის მეფე-იმპერატორის გეორგ V ნებართვით ჩვენს სურვილებს უცხო სახელმწიფოებს გადასცემთ. თქვენთა ფეხთა წინაშე მოგვაქვს ალბანეთის ულრმესი და საუკუნო მადლობა.“

# რუსეთი

**ახალი გემი.**

ამ თვეში დასრულდა რუსეთის ერთი ახალი ჯავშნოსანი გემის აშენება და 16 ამ თვეს ზღვაში ჩაუშვეს. გემს სახელად „სევასტოპოლი“ ჰქვიან. ეს გემი რუსეთის ფლოტის უდიდესი და უძლიერესი გემია. მისი წყალ-წყვა 23.000 ტონია ე. ი. ერთი მილიონ ოთხას ორმოცდა ცხრა ათასი ფუთი. რუსეთის სხვა გემები კი 19 ათას ტონზე მეტი არ არის. გემის აშენება 1909 წ. 1 სექტემბერს დაიწყეს. სიგრძით 180 ადლია, სიგანით—26. მას თავის მექანიზმის საშუალებით საათში 45 ვერსის გავლა შეუძლიან, მის მანქანებს 42 ათასი ცხენის ძალა აქვს. გემს შეუძლიან 3.000 ტონი (ტონი 63 ფუთი) ნახშირი და 1.700 ტონი ნავთი ატაროს. გემზე 12 დუიმიანი ზარბაზნები იქნება. ზარბაზნებისათვის გემზე 4 დიდი კოშკია აგებული, კოშკებს ჯავშანი აქვს შემოკრული; ამას გარდა იქნება კიდევ 16 ზარბაზანი, თითო 120 მილიმეტრიანი და მრავალი პატარა ზარბაზნები. გემს სულ მოუნდა 6910 ტონი ფოლადი.

**უწმინდეს სინოდში.**

დიდი მზადებაა სასულიერო სასწავლებლების წესდების შეცვლაზე. საქმის დასაჩქარებლად ორი კომისია შესდგა: ერთი ვოლინელის არქიელ ანტონის თავმჯდომარეობით განიხილავს სემინარიელების წესდებას; მეორე კიდევ სერაფიმე მოგილოველის თავმჯდომარეობით—სასულიერო სასწავლებლებისას.

**ბაქოს ნავთის მრეწველთა შუამდგომლობა.**

ნავთის მრეწველთა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე დაადგინეს: იშუამდგომლონ ფინანსთა მინისტრის წინაშე, რათა გემთა მიმოსვლის შეწყვეტამდე ძალაში არ შევიდეს კანონი ნავთიდან დამუშავებულ ნივთიერებაზე აქციზის დადებისა, რომელიც სამინისტრომ „მათთვის ასე მოულოდნელად“ შემოიღო ივნისში.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 თიბათვე.

**საზღვარ-გარედ.**

**პარიზი.** საარჩევნო რეფორმის განხილვის დროს, დეპუტატთა პალატამ 566 ხმით 4 წინააღმდეგ ლიუმენილის შესწორება მიიღო, რომლითაც არჩევნები სიებით მოხდება და ადგილთა ერთი ნაწილი იმ პარტიებს დაეთმობათ, რომელნიც უმცირესობას შეადგენენ.

**სალონიკი.** დიირანში სასიკვდილოდ დასჯრეს ბრალმდებელი იბრაგიმ ხანი ახალ-გაზრდა ოსმალთა კომიტეტის წევრად ნამყოფი.

**პარიზი.** მინისტრთა კრება მოხდა. კრებაზე განიხილეს შინაურ და გარეულ პოლიტიკის გეგმა. კრების გათავების შემდეგ კაიომ იტალიის ელჩი ინახულა.

**პარიზი.** ჰავასის ცნობით აგადირში მშვიდობიანობაა. ამ ხანებში ყაიდმა გელლალიმ ევროპიელებს ტაგირთან მიწები არ მიჰყიდა. ევროპიელთა რიცხვში გერმანელებიც იყვნენ, ამან გერმანელების კანონერკის გაგზავნა გამოიწვია. გალლალი ალჟიხაზის აქტების მიხედვით მოიქცა, მიწების გაყიდვა სულთანის ნებადაურთველად აკრძალულია.

**ნიუ-იორკი.** დიდი სიცხეებია. სიცხემ რამდენიმე ასი კაცი იმსხვერპლა.

**ბერლინი.** გერმანიის კანონერკა „პანტერ“, რომელიც აგადირს გაიგზავნა, დიდ შეკეთებას ჰსაჭიროებს და მის მაგივრად გაიგზავნება კრეისერი „ბერლინი“.

**თეირანი.** რეგენტმა, კაბინეტმა და მეჯლისის უმრავლესობამ საპეხდარს მრავალი დეპეშები გაუგზავნეს რის შემდეგაც საპეხდარი უკან დაბრუნებას დასთანხმდა.

**რ უ ს ე თ ი.**

**ოდესა.** დაიჭირ ს მთელი ჯგუფი ქალებით მოვაჭრეთა, რომელნიც თურმე ქალებს კავკასიაში ასაღებდნენ.

**ბრიანსკ.** ქექა-ქუხილის დროს შემდეგი საკვირველი მოვლენა მოხდა. შებურთული ელვა შეიჭრა სააქციზო საწყობის ღია ფანჯარაში, გაირბინა ყველა ოთახები, იქ მსხდომ მოსამსახურეებს გვერდს გაუქროლა და უკანა ფანჯარაში გავიდა.

**პეტერბურგი.** სტოლიპინის ავადმყოფობისა, მის გადადგომისა და საზღვარ-გარედ წასვლაზე გავრცელებული ხმები სიმართლეს მოკლებულია.

**მაკარია.** საშინელმა ქარიშხალმა ძირიანად მოჰგლიჯა ხეები; ფანჯრები ჩალეწა. დაბალი ქუჩები ნიაღვარმა მოიცვა. ვოლგაზე რამოდენიმე პატარა გემი ჩასწყვიტა და მდინარის მიმდინარეობას გაატანა.

**მოსკოვი.** ამოვარდა ქარიშხალი. დაბლობი ადგილები ნიაღვარმა მოიცვა. ორ ალაგას ელვისაგან შენობებს ცეცხლი გაუჩნდა.

**პეტერბურგი.** ვაჭრობის მინისტრმა პირველ საერთაშორისო კრებაზე ელექტრონის ხმარება რკინის გზებზე დაადასტურა.

**ლვოვ.** 99 სტუდენტის საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ ძალადობა უნივერსიტეტში თავ-დასხმის დროს, დამთავრდა. საქმის გარჩევა 84 დღეს გაგრძელდა. 5-ს მიუსაჯეს 3 თვე, 68—თითო თვე, 26 ორი კვირით დატუსაღება.

**ხარბინი.** ჩინეთის გაზეთების ცნობებით მუკდენში ხოლერა გაჩნდა.

**კიევი.** ღამით 7 შეიარაღებულმა გაძარცვეს მგზავრი. წაართვეს 156 მანეთი და მძიმედ დასჭრეს. პოლიციელმა მოჰკლა მათგანი ერთი, მეორე მძიმედ დასჭრა, სხვები მიიმალნენ.

# წერილი რედ. მიმართ

მ. ხ.

ბ. ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ დაუთმოთ ადგილი თქვენი პატივცემულ გაზეთის მახლობელ ნომერში შემდეგს:

„სახალხო გაზეთის“ 331 ნომერში მოთავსებული იყო წერილი დაბა სამტრედიიდან, ვაჭართა კრების შესახებ, სადაც მოყვანილი იყო დამსწრე ვაჭართა სახელი და გვარი მათ შორის რაღაც მიზეზით ჩვენიც? ეს ცნობა კორესპონდენტისა ჩვენ შესახებ სიმართლეს მოკლებულია, რადგან ჩვენ არც პირადად და არც ჩვენ წარმომადგენლობით მონაწილეობა ამ კრებაზე არ მიგვიღია.

პატივისცემით ივანე და სტეფანე ხტურუები.

# გამოსადეგი ცნობა

**მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.**

(დრო პეტერბურგის საათითაა ჩაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

**ტფილისიდან გადის:**

1) ბათუმისაკენ: N I—III კლ. ჩქარი მატ. საღ. 10 ს. 10 წუთზე. გორში ჩადის ღამ. 12 ს. 8 წ., მიხაილოვში ღამ. 1 ს. 12 წ. რიონში დილ. 5 ს. ბათუმში დილ. 8. ს. 45 წ.

2) საფოსტო მატარ. N 3. I—III კლას. გადის დილ. 9 ს. 44 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ. მიხაილოვში ნაშუადღ. 2 ს. 1 წ., რიონში 6 ს. 35 წ., ბათუმში ღამ. 11 ს. 37 წ.

3) სახალხო მატ. დილის 4 ს. 17 წ. გორში ჩადის 6 ს. 56 წ., მიხაილოვში 8 ს. 29 წ., რიონში 12 ს. 46 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 23 წ.

4) შერეული მატ. № 107, მეოთხ. კლასით, გადის საღ. 9 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 1 ს. 20 წ., მიხაილოვში ღამე 3 ს. 43 წ., რიონში დილ. 9 ს. 48 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 6 წ.

ბაქოსაკენ: 1) სამგზავრო N 6. I—II. კლ. გადის დღის 2 ს. 56 წ., განჯაში ჩადის 8 ს. 59 წ., ბალაჯარში 6 ს. 38 წ., ბაქოში დილ. 7 ს. 15 წ.

2) საფოსტო მატ. N 4, I—III კლ. დილ. 1 ს. 38 წ., განჯაში 5 ს. 39 წ., ბაქოში 1 ს. 44 წ.

3) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. გადის 8 ს. 40 წ. დილ., განჯაში იქნება ნაშუადღ. 1 ს. 44 წ., ბალაჯარში საღ. 10 ს. 2 წ.. ბაქოში საღ. 10 ს. 35 წ.

შერეული მატ. N 106, მე-4 კლასით, დილის 4 ს. 17 წ., განჯაში იქნება შუადღ. 12 ს. 28 წ., ბალაჯარში 3 ს. 35 წ., ბაქოში ღამ. 4 ს. 46 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სახალხო მატარებ. I—III კლ. N 7—8, გადის დილ 7 ს. 20 წ., ბორჯომში ჩადის შუადღ. 12 ს. 40 წ.

2) სახალხო მატ. № 9—10, I—III კლას. გადის ნაშუადღ. 2 ს. 2 წ. ბორჯომში ჩადის საღ. 7 ს. 30 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:**

1) საფოსტო მატ. N 74—75, I—III კლას. გადის ღამ. 12 ს. 2 წ. ჯულფაში ჩადის ღამ. 11 ს. 48 წ.

2) სამგზავრო და საქონლ. N 78—79, II—III კლ. გადის ნაშუადღ. 4 ს. 50 წუთ. ერევანში ჩადის დილის 10 ს. 12 წ.

**ტფილისში მოდის:**

ბაქოდან: ჩქარი მატარ. პლატსკ. N 1 I—III კლ. საღ. 9 ს. 26 წ. სამგზავრო N 5. I—III კლ. დღ. 3 ს. 27 წ. საფოსტო N 3. I—III კლ. დილ. 8 ს. 54 წ., ნარევი N 107. მე-4 კლასით საღ. 8 ს. 7 წ.

ბათუმიდან: სამგზავრო N 6, I—III კლ. ნაშ ადღ. 1 ს. 56 წ, საფოსტო N 4, საღ. 10 ს. 42 წ., ჩქარი N 2, დილ. 7 ს. 54 წ. ნარევი მე-4 კლასით N 106, დილ. 3 ს. 19 წ.

ჯულფიდან: საფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სამგზავრო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

ერევნიდან: სახალ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სამგზავრო N 7—8, დილ 6 ს. 20 წ., სამგზ. N 9—10, საღ. 8 ს. 30 წ.

**ქუთაისიდან გადის:**

ტფილისისაკენ: სახალხო 5 ს. 15 წ. დილით., საფოსტო 2 ს. 3 წ. დღით. ჩქარი 1 ს. 00 წ. ღამით.

ბათუმისაკენ: სახალხო 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამით.

ფოთისაკენ: სახალ. 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ., ღამ., სახალხო 4 ს. 22 წ. დღით.

მორაპნისაკენ: სახ. 5 ს. 6 წ. საღამ.

ტყიბულისაკენ: სახ. 3 ს. 28 წ. დღით. სახ.-საქ. 7 ს. 50 წ. დილით.

**ქუთაისს მოდის:**

ტფილისიდან: სახ. 2 ს. 25 წ. ღამ., საფ. 8 ს. 20 წ. საღ., ჩქარი 7 ს. 14 წ. დილით.

ბათუმიდან: სახ. 7 ს. 14 წ. დილ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., ჩქარი 2 ს. 25 წ.

ფოთიდან: სახალ. 7 ს. 14 წ. დღ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., სახ. 10 ს. 21 წ. დილით.

მორაპნიდან: სახალხო 9 ს. 49 წ. დილ.

ტყიბულიდან: სახ. 11 ს. 12 წ. დილით. სახალხო-საქ. 6 ს. 46 წ. საღამოს.

**ტფილისიდან მცხეთაში:**

სახალხო მატ. N 77, I—III კლ. გადის ნაშუადღ. 2 ს. 43 წ., მცხეთაში მიდის 4ამ, 3 ს. 26 წ.

სახ. მატ. № 77, I—III კლ. გადის დილ. 8 ს., მცხეთაში მიდის დილის 8 ს. 43 წ.

**მცხეთიდან ტფილისში:**

სახ. მატ. N 76, I—III კლ. გამოდის 12 ს. 11 წ., ტფილ. ჩამოდის 12 ს. 50 წ., სახალხო მატარ. N 76, გამოდის საღ. 6 ს. 51 წ. ტფილისში მოდის საღ. 7 ს. 30 წ.

შენიშვნები: 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომლებიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებლებს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

2) 15 მაისიდან შეიძლება პირდაპირ გადაუჯდომლად მგზავრობა ტფილის-[illegible], საერთაშორისო ვაგონებით და ამიერ-კავკასიის NN 1—2, კავკასიის გზის N 5—6.

3) 1) მაისიდან მიმოდიან ბაკურიანის ლიანდაგზე სამგზავრო № 76—77, მცხეთის საგარეჯო № 76, 77, 76ა, 77ა.

4) შერეული სახალხო მატ. მე-IV კლ. N 106 და 107, ბაქოსა და ბათუმს შუა საჭიროების მიხედვით იგლის.


# განცხადებანი

მუხრანის ქერძო
## სამკურნალო
გ ა ი ხ ს ნ ა
მუდმივის საწოლებით.
Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.
ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.
ატენიანცი ნ. ა. ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.
ნ. მ. ახპახოვი—(მედ. ექ.), ყურის, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.
გ. ა. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.
ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებან დილის 10—11 საათ.
ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.
ქ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.
ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.
ი. გ. კალამკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.
ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.
მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს
გ. ა. მელიქსიმიანი—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.
ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.
ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606“-ით.
დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.
სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—1003—94)

## „სამპსონინი“
თმებისათვის
საპონი ემ. დიდიძისა
იყიდება ელისაბედის აფთიაქში (ქსენიევისა და ელისაბედის ქუჩების კუთხე)
(წლ.—1152—39)

## დოქტ. ნავასარდიანისა
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დ ი ლ ი თ:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა. შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბეეტასიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ო. მ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. გარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტატიურად.
რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ. (1168—66)

ქ. თ ე ლ ა ვ შ ი
ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე
## ჭრა-კერვის
წ ი გ ნ ი
თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით. ახალი მეთოდი.
ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული
სოფიო ი. სიმონოვის მიერ.
ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ.
ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Щкола кройки и шитья Софiи Iосифовны Симоновой. Вульв. пер. 2. собс. домъ.
(100—1140—48)

## გაზეთების მგზავნელი ბიურო
რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი“, „ზაკავკაზსკაია რეჩი“, „ჰორიზონი“, „სურანდაკი“, „ხათაბალა“, ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა, ჭიათურასა, გორსა, ბაქოსა, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სამტრედიასა, ყვირილაში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, სუფსაში, სენაკსა, სიღნაღში და თელავში.
საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმბრისა (ალექსანდროპოლი) ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა.
მიჰმართეთ ერასტე დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში
## იყიდება შემდეგი წიგნები:
ა რ ჩ ი ლ ჯ ო რ ჯ ა ძ ი ს ა: „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი 75 კაპ.
B á t o n-ისა: „ერი და კაცობრიობა განხილული სოციოლოგიური მხრით“.—ფასი 1 მან. 20 კაპ.
ვ. ყ ი ფ ი ა ნ ი ს ა: „სამეგრელოს მთავარი ბატონიშვილი ლევანი“—ისტორ. დრამა—ფასი 40 კაპ.
ზემო აღნიშნული წიგნები იყიდება აგრეთვე გოლოვინის პროსპექტზე „ახალი სიტყვის“ („Новая рѣчь“) წიგნ. მაღაზიაში და ქუთაისში—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
## ძმ. ძეგველოვების
● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●
პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
ახალ-ახალი
ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).
ხიზილალა
ახალი (Зернистая).
პარკისა და კოლოფებით
საუკეთესო დოშები და ზურგიელები
მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)
მივიღეთ საუკეთესო პაიხუნი ხიზილალა
გირვანქა 1 მ. 60 კ. 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე.
წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.
და ბელა-რიბიცა 50 კ.
აგრე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.
(წ—1052—)